დ ა ს კ ვ ნ ა

დადგენილების პროექტის თაობაზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N 33 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ'' ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე - დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძველია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი. აღნიშნული ნორმის შესაბამისად ნორმატიულ აქტში ცვლილებისა განხორციელება ხდება მხოლოდ იმავე ნორმატიული აქტით. პროექტი შესაბამისობაშია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტთან - საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილებაა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული წესით თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებისა და დამატების შეტანა. პროექტი ასევე შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის N641 განკარგულებას.

ასევე დადგენილების სამართლებრივი საფუძველია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“მე-80 მუხლის მე-2 პუნქტი.

იურიდიული სამსახურის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი: *მარინე ბერაძე*